FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

სანდრო ბუკია

ისტორია

სანდრო ბუკია საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტია. მას ბრალად ედებოდა წვრილმანი ხულიგნობა, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა და პოლიციელის შეურაცხყოფა. ის 2024 წლის 7 დეკემბერს, რესპუბლიკის მოედანზე, დედის თანდასწრებით დააკავეს.

სანდრო 6 დეკემბერს პროევროპულ, აქციაზე დედასთან, თამთა კიტიასთან ერთად მივიდა და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა. 01:00 საათის შემდეგ, სანდრომ გადაწყვიტა აქცია დაეტოვებინა და რუსთაველის მეტროს მიმართულებით დაიძრა. გზაზე იყვნენ აქციის სხვა მონაწილეებიც, სანდრო დედასთან ერთად ღვინის მაღაზია “ხარება”-თან იმყოფებოდა, როდესაც სასტუმრო "რედისონთან" სპეციალური დანიშნულების რაზმი იყო განლაგებული. ამ დროს ერთ-ერთმა უცნობმა ადამიანმა სპეცრაზმის მიმართულებით შეიგინა და გაიქცა. უეცრად სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლები სანდროს მიმართულებით დაიძრნენ, თუმცა მას გაქცევა არ უფიქრია და ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ მის დასაკავებლად მიდიოდნენ. სპეცრაზმის თანამშრომლები მიუახლოვდნენ მას და უთხრეს, რომ მან შეიგინა. სანდრომ პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, რომ ამ დროს მოვიდნენ სხვა თანამშრომლებიც, რომლებმაც ხელებში და ფეხებში მოჰკიდეს ხელები და ჰაერში აწეული წაიყვანეს სასტუმრო "რედისონის" მხარეს, სადაც რაზმი იყო განლაგებული. სანდროს დედამ დაიწყო ყვირილი, სთხოვდა, ხელი გაეშვათ და არ დაერტყათ მისი შვილისთვის, რადგან სანდროს აქვს ეპილეფსია, თუმცა ამაოდ.

გზაში, ვიდრე მიიყვანდნენ სპეცრაზმის მანქანასთან მოხადეს ქუდი და დაინახეს სანდროს თმის ფერი (სანდროს თმა, ქერად აქვს შეღებილი). ამის გამო დაუწყეს ცემა და დაცინვა. როდესაც მიიყვანეს სპეცრაზმის ე.წ მინივენთან, დააყენეს მანქანასთან, გაჩხრიკეს და წაართვეს ყველა ნივთი რაც თან ჰქონდა. ისევ უმეორებდნენ, რომ სანდრო იყო ის ადამიანი, ვინც იგინებოდა. მას პასუხის გაცემა უკვე აღარ შეეძლო, რადგან თავს ძალიან ცუდად გრძნობდა. დაკავებულს ორჯერ დაარტყმევინეს თავი ავტომობილზე, რის გამოც დავარდა ძირს. ამ დროს დაახლოებით ხუთმა სპეცრაზმელმა დაუწყო ფეხებით ცემა.

გამეტებით ურტყამდნენ თავში. როდესაც დაასრულეს ცემა, ისევ აგრძელებდნენ მის დამცირებას, მისი თმის ფერის გამო. ამის შემდეგ ჩასვეს მინივენში, სადაც მოვიდა საპატრულო პოლიციის თანამშრომელი და დაადო ხელბორკილები. რამდენიმე ხანში მიიყვანეს კიდევ სამი დაკავებული, რომლებიც იყვნენ ნაცემები. გადაანაწილეს საპატრულო პოლიციის ავტომობილებში და გადაიყვანეს კახეთის გზატკეცილზე მდებარე შსს-ს პოლიციის შენობაში.

პოლიციის დაწესებულებიდან სანდრო რამდენიმე საათში ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს. ის ოჯახის წვერებმა განყოფილებიდან პირდაპირ სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს. დაზიანებების შედეგად, დაზარალებულს დაუდგინდა თავის ზედაპირული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, გულ-მკერდის ზედაპირული ტრავმა, მუცლის, ზურგის, მენჯის, სახსრის, ბარძაყის დაჟეჟილობა.

სანდრო ბუკიას მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებების საფუძველზე. მისი საქმე განიხილა მოსამართლე - ნინო ენუქიძემ. ჩვენება მისცა ორმა პოლიციელმა. თუმცა არცერთი მათგანი არ იყო სანდროს რეალური დამკავებელი. საქმეზე წარმოდგენილი არ ყოფილა არცერთი ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სამართალდარღვევის ჩადენას. პოლიციელები სასამართლოში აძლევდნენ ბუნდოვან და არათანმიმდევრულ ჩვენებებს.
ადვოკატების მხრიდან წარდგენილი იყო წერილობითი და ვიდეო მტკიცებულებები. სანდროს სამედიცინო ისტორია და სანდროს დაკავების კადრები. ასევე, მოწმის სახით დაიკითხა სანდოს დედა, თამილა კიტია, რომელმაც ზუსტად აღწერა სანდროს დაკავების გარემოებები.
მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში სანდროს ადვოკატის მიერ წარდგენილი იყო მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებდა სანდროზე თავდასხმას და მასზე ფიზიკურ ძალადობას, ასევე გამორიცხვადა მისი მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას, მოსამართლემ ის სამართალდამრღვევად ცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა, ხოლო 166-ე მუხლზე შეწყვიტა ადმინისტრაციული საქმე.

2024 წლის 28 ნოემბერს დაწყებულ საპროტესტო აქციებზე დარბეული ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიება დაიწყო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო ფაქტზე.
სანდრო ბუკია 2024 წლის 20 დეკემბერს ადვოკატის თანდასწრებით გამოიკითხა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში. სანდრომ პოლიციას მიაწოდა ინფორმაცია მის მიმართ ჩადენილ არასათანადო მოპყრობის, ფიზიკური ძალადობის და ნივთების წართმევის შესახებ. ასევე, სანდრო დათანხმდა, რომ მის სამედიცინო დოკუმენტებზე ჩატარდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. რის შემდეგაც, სანდროს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი.

არსებული ინფორმაციის მიხედვით, პოლიციელის ქმედება უფლებამოსილების გადამეტებასთან ერთად შესაძლოა შეფასდეს როგორც წამება, დამამცირებელი ან არაადამიანურ მოპყრობა.